

ვესტნიკი



ИЗВЕЩЕНО

1903 წლის სარჩევი

I. მეთაური წერილები.

№№

- სადღესო 1
- 1903 წ. ჩვენს 2
- შავი ქვის მრეწველთა მე-V კრება-გ მარშალადის 4
- სინამდვილის გამოყენება, თუ ინსინუაცია-დ. თ-სი 5
- ინსინუაციათა ავტორებს-დ. თაფურაძის 6
- ჩვენი ბურჟუა ინტელიგენცია და მისი იდეოლოგები 7
- გ. მარშალადის 7
- ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც და- 8
- შედგების-დ. თაფურაძის 8
- რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა 9
- ბ. ლოლუა და მისი ლოლიკა დ. თაფურაძის 10
- მამულიშვილობა, ეროვნობა თუ ხალხის სამსახური 14, 15, 22
- უფრიდელის 14, 15, 22
- ჭიათურის კითარება მ. მარშალადის 16
- პრესის ორასი წლის იუბილეს გამო. ასოთ-ამწყობისა 19
- ახალი სასჯელთა დებულება 20
- რევოლუცია სერბიაში რ. ა-სი 21
- ოპორტუნისი და მისი ქართველი მორტუილე ა. ნ-სი 21
- დიმიტრი ჰისარევი ა. ნ-სი 25
- ინტელიგენცია ა. დ-სი 26, 27
- „თანხმობის მქალაქებელს“ რ. ა-სი 27
- „კვალი“ და მისი დღევანდელი მნიშვნელობა-უფრიდელის 28
- გოგინაშვილი და საზოგადო მოღვაწეობა უფრიდელის 29
- თეატრს რას ვუწუნებთ-უფრიდელის 30
- კერძო უთანხმოება თუ ძირითადი-უფრიდელის 32
- შობისწინ 34
- კიდევ ერთჯერ ბ. გოგინაშვილი, და კიდევ 34
- ერთჯერ მისი „აზრები“ ყვირილელისა 34

II კუბლიცისტობა და ხრონიკა

- ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა მომავალი კრების 1
- შესახებ-მაგიქის მწარმოებლის 1
- ქალთა სტიპენდიის შესახებ-ა. ხანაშვილის 1
- შავი ქვის სამეფოდან-უფლის 2
- ჭიათურის ვითარება-მ. მარშალადის 6
- მაგიქის მრეწველთა V კრება ქუთაისში 7
- გარეშე მეთაფურაძის 3, 4, 5, 6, 7, 8, 10
- გასული წელი რუსეთში-ა. ზ-ის 3
- კიდევ მაგიქის მწარმოებელთა კრების შესახებ 5
- გ. მარშალადის 5
- ჩემი შობაბეჭდილებანი-ა. წულუკიძის 5
- საყურადღებო კითხვის უყურადღებოთ დატოვება ს 6, 7, 8
- ნემეხიდაშვილის 6, 7, 8
- მაგიქის მრეწველთა V კრება-გ მარშალადის 6
- მიის სიმცირე ჩვენს გლეხობაში-ნ-კელის 11, 12
- კიკია რამ სოფლის მასწავლებლებზე. ს. ახმეტაშვილის 17
- მდგომარეობაში არიან ამიერ კავკასიაში ფარმაცევტები 22
- ს. მარშალადის 22
- სტუდენტთა კითხვა სასტუდენტარის 25
- კოტა რამ სოფლის სკოლებზე-აფაშვილის 25
- საზოგადო მოღვაწეობის ახალი ნიმუში-ნ. ელ-სი 25
- თბილისი, 30 ნოემბერი 31

III. მიხედობა

- მეურნე და მეურნეობა—გ. მარშალადის 2, 3, 6, 8, 9, 11, 14
- ეკონომიური განვითარება XIX საუკუნეში— 12, 13, 14, 15
- ნაწყვეტები პოლიტიკ. ეკონომიიდან —ა. წულუკიძის 28, 29
- 30, 31, 32, 33
- კერძო საკუთრება და მისი ისტორია არ. რაქუაძის 30, 33, 34.
- კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა 1789 წ. თარგ 31, 33, 34
- ა. ელიაშვილი 31, 33, 34

XIV წერილები საზღვარ გარეთიდან, რუსეთიდან

- და კავკასიის სხვა-და სხვა კუთხეებიდან 1
- წერილი პარიზიდან—Apryc-ისა 1
- მოსალოცი წერილი, 1893—1903 წ. ადესელი სტუდენტ 6
- წერილი ხარაგაულიდან—კ. წახაიძის 6
- თინიანობა—პ. კაკაბაძის 5
- ქუთაისი: სამეურნეო საზოგად. საქმეები—ისი-სა 10
- ჭიათურის საურთიერო ნდობის საზოგ. კრება—წულუკიძის 16
- წერილი რკინის გზიდან—ი. აქრუაშვილის 21
- ადრესი, რომელიც პეტერბ. ქართველობამ მაკაროვა უნი- 22
- ვერსიტეტის პრეზიდენტს ალ. ს. ხანაშვილს 22
- წერილი ხონიდან—სარიუსის 27
- წერილები ხიდისთავიდან—შაველის 24

V კოლეჯი

- ფანტაზია (ლექსი პროზით)—ი. კვაცაძის 1
- ახალი წელიწადი ლექსი—ბ. ახასიანიძის 1
- აკვანთან ლექსი—ი. კვაცაძის 1
- სატეროს ლექსი კ. ნადირაშვილის 3
- ჩემს ოთახს ლექსი ბ. ახასიანიძის 4
- ლოთი ლექსი ვ. რუხაძის 6
- ჩემს სათაყვენოს ლექსი დ. თამაშვილის 6
- ამონაკენსი ლექსი პროზად-ი. კვაცაძის 7
- განთიადი ლექსი დ. თამაშვილის 7
- * — ლექსი დარია ხუნდაძის 7
- * — ლექსი ცახელის 8
- სურათი დ. თამაშვილის 10
- * — ლექსი №№ 11
- თავ. გ. აბაშიძის გარდაცვალებაზე ლექსი ბ. ახასიანიძის 12
- ნაწყვეტი ლექსი ვ. რუხაძის 13
- ამონაკენსი ლექსი დ. თამაშვილის 13
- №—ს. ლექსი-დ. ხუნდაძის 4
- შავს ზღვაში ლექსი-ზღვისპირელის 14
- ნადული ლექსი-დ. თამაშვილის 15
- * — ი. კვაცაძის 16
- მშვიერი ლექსი-ვ. რუხაძის 17
- * — ლექსი დ. თამაშვილის 17
- * — ლექსი დ. თამაშვილის 18
- ქართველ დედას ლექსი დ. თამაშვილის 18
- ს. ი. ნადსონიდან ლექსი ს. ბ-ის 18
- გაზაფხული ლექსი ი. კვაცაძის 14
- მადიარი ლექსი დ. კვაცაძის 20
- გაზაფხული ლექსი დ. ხუნდაძის 20
- გაოფხიზლება ლექსი ბ. ახასიანიძის 20
- ფიქრი კვლავ ფიქრი ლექსი პროზით სხიანიძის მტარიშვილის 22
- * — გ. გოგიაძის 23

* * — დარია ხუნდაძის	24
ამბობენ თითქოს-დადო ასობაძის	26
* * — დ. თამაშვილის	28
სიმღერა ბ. ხახაშვილისა	29

VI ბალეტისტიკა

1. დანგრეული კერბი ი. ევდოშვილის	1
ჩაიზე-კოდრა მატრასის	2, 3, 4
ერთგული დედა-ტრ. რამიშვილის	5, 6, 8
ყველაფერი ისე, სიცოცხლეც, სიკვდილიც-თარგმ.	5
ქ. ჯ—ძის	9
დაბრუნება თარგ. ელისა	10
ქალები თარგ. სილ, თავართქილაძის	10
აზრი-თარგმ. ბ. ლომთათიძის	11, 13, 14, 15, 17, 18
შავარდნის სიმღერა-თარგ. ქ. ჯ—ძის	13
ორი თაობა თარგმ. სვირ-სკანდელის	14
ნაზარეფული აღზღდა-სმარადან. შვირიშვილის	15
ცხოვრება-თარგმ. ბარონის	16
ნოემბერი თარგმ. სვირ. სკანდელის	16
ფიქრები-ი. ევდოშვილის	18
ლამპა-თარგ. სვირ-სკანდელის	18
ძიძა მოთხრ. ნ. ნაკაშიძის	19, 20, 21, 22, 23,
24, 25, 26, 27, 28,	
ქრელი სუფრა-ი. ევდოშვილის	26
გასაღებელში თარგ. ვან - ის	29
ილიკოს უბედურება-თარგ. თამარ გოგოლაშვილის	30, 31
სიცრუე-მოთხრ. სმარადან შვირიშვილის	32, 33

VII კრიტიკა და კოლექცია:

შილდერი ჰოვზის ძირითადი თვისებანი ი. გამართელიის	4
მცირე შენიშვნა-დ. თ—ძის	9
ღია წერილი ბ. სიტყვის ქეთ. აშხ. ვანსის	9
კიდევ „ცნობის ფურცელს-ყვირაფელის	24
არ ვარგა, მარა მაინც კარგია დ. თოფურიძისა	15
აკაკაძის მამულიშვილები ყვირილელისა	17
თქვა და გაიქცა მისივე	18
მცირე განმარტება-რ. ა - სს	23
კიდევ ოპორტუნის მორტფიას ლ. ნ—სი	24
პლების და ეროვნული კითხვა ულტრაკუქას, ტისა	26
ისევ ოპორტუნის მორტფიას ლ. ნ.	27
მცირე შენიშვნა ყვირაფელისა	33

IX გიგლიოგრაფია, ანბანი და თეატრის მათიანი №№

ქურნალ გაზეთებიდან	7, 8
ანგარიში 1902 წ. იმერ. ეპისკ. გაბრ. სახელოზე დაარს.	8
ბიბლიოთეკისა-ე. ჯინჯუისა.	
ქურნალ გაზეთებიდან	9
ქურნალ-გაზეთებიდან	10
ვეზირიშვილის საქმე	16
ქურნალ-გაზეთებიდან	11, 13, 17, 18
„ქართული ანდაზები, ფრანგულთაგამცემული თ. სახოკის	18
მიერ	
ქურნალ-გაზეთებიდან	20, 22, 23, 24, 25, 26,
საყურადღებო ციფრები განშინისა	31
სახალხო თეატრი ი. ც — ძისა	3, 4
ხალხის მტერი, ანუ ექიმი შტოკმანი არ. რაქდენიძისა	32

XIII ნეკროლოგები

პაპი ლეონ მეცამეტე, გვამრათელისა.	24
მ. ფილიპოვი	21
დ. მაჩხანელი (ნადირაძე.) ა. რ.	28
ჰერბერტ სპენსერი არ. რაქდენიძისა	31

XI კორესპონდენციები

ფოთი-დეოსი	2
სიყვარულ ი-ადაზნის შირვლისა	2
მოსკოვი-ა. ნემსაძის	2

კახეთი	24
საჩხერე	26
ს. ქავანი	28
ქუთაისი- დამსწრესი	29
ქიზიყი	
ლანჩხუთი.	
ქუთაისი	
ახალ სენაკი	
ს. დიდი-ჯიხაში მთხოვი	
ლანჩხუთი, ლანჩხუთი, შუამთა, სურამი	
ფოთი, საღ. სუფსა	
აფხაზეთი, ქუთაისი, ბათუმი	
ოზურგეთი	
ბათუმი ევლახი, სურამი	
ქიათურა, ხონი, ბაქო, ლანჩხუთი	
თიანეთი, კახეთი,	
ბათუმი, ლანჩხუთი, სურები, საგურამო	
სურამი, საჩინო, ძველი გავაზი	
ბათუმი, ბაქო, წირქვალა, ჩიბათი	
თელავი, აბანოეთი, ლანჩხუთი	
აბაშის საზოგად., ჩოჩხათი, სახარბედო	
ჩოჩხათი, ბათუმი, საჩხერე	
აბაშის საზოგად., სვირი, სურები	
ს. ძველი-გავაზი, ქიათურა, სამტრედია	
არტანუჯი, სარიყამიში.	
ახალციხე, ფოთი, აცანა, ქიქური	
ქიზიყი, საჩხერე, ოზურგეთი, ბათუმი	
ბათუმი, სამტრედია, ხონი	
ბათუმი, ხონი	
ქუთაისი, სამტრედია; ლენჩხუთი, ხარაკოელი	
კიწიოს საზოგ., ლანჩხუთი	



XII წერილები რედაქც. მიმართ.

შვეიცარიიდან	2
სამტრედიაიდან	2
ლანჩხუთიდან	3
ქ. ტფილისიდან	
ქიათურის მრეწვე. კრება- წვეწარსა	7
საზღვარგარეთიდან ვლ. მუსხიშვილისა	7
ქუთაისიდან-დრამ. დასისა	7
ბელაგორიდან მასწ. ნ. ქაქუცას	7
ალაგორიდან-ქრმ. სარბიძისა	7
პასუხად მ. აჯიმამულოვს-ვლ. ე — შვილი	
ქავანიდან-დასჯილისა	10
ხარაკოელიდან-გამგ. წვეწარის	11
ევლახიდან-ასის ფანიშვილისა	11
ძიძითიდან-ს. მატეიშვილისა	11
სარიყამიშიდან — დ ქარცივაძისა.	13
ყვირილიდან ო. ბაქაძისა და ვ. საყვარელაძისა	13
სამტრედიაიდან-ნაღბანდაშვილისა	14
თელავიდან-მ. აჯიმამულოვისა	17
სამტრედიაიდან-ნ. ჯურისთავისა	28
ქიათურიდან წვეწარისა.	18
საქირა თუ არა კვირა დღეს დასვენება-სა თამაშებისა.	19
ალაგორიდან-მ. შეტრეკელისა	19
ღია წერილი ირაკლი ივ ძე რამიშვილს, ს. ნ. რამიშვილისა.	20
ქიათურიდან დადო გუბელისა	20
აბაშიდან-ლ გებუნაძისა	20
ლანჩხუთიდან-მ. ფრანკისა	20
იურიევიდან ლ. კიდურასისა	20
პასუხად ნ. და ს. რამიშვილებს-ი. რამიშვილისა	21
საღ. საჯავახოლან ს. ბარკადასისა	21
სოფელ დიციდან კონ. ნადასისა	23
ღია წერილი ირაკლი ივ — ძე რამიშვილს ნ. და ს.	
რამიშვილებისა	24
სოფ. სახარბედოლდან	24
ს. დიციდან-დამსწრესი	28

საქართველოს მემორიალი



საქართველოს მემორიალი
თბილისი
553 1903

XI.

ყოველკვირეული გაზეთი.

XI.

№. 1

ოთხშაბათი, 1 იანვარი 1903 წლის.

№. 1

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., სასაგარეო წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., სასაგარეო წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.
ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საზოგადოების ქუჩაზე, № 35.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

შინაარსი: სადღეისო. —სადღეისო ვიზიტები, რიგოლე-ტოსი. —ფანტაზია, ია კვალისა. —დანგრეული კერძი, ი. ევდ-შეილისა. —ახალი წელიწადი, ლექ. ბ. ახალწინაგისა. —აკვანთან, ლექ. ი. ევდ-შეილისა. —ჭათურის კრება, შავ. ქვის მწარმოებელ. —წერ. შარხადან, Argus-ს. —1902 წ. უკრაინაში. —შიდ. შოქ. ძირ. თვისებანი, ი. გამართელისა. —ქალთა სტიპენდიები, ა. სახან-შეილისა. —განცხადებანი.

30 დეკემბერს ქ. თბილისის მიხეილის საავათმყოფოში მიხმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მოსე ანტონისძე მეგრელიძე,
რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ მისი **დადა ნინო და ძმა ლუკა მი-გრელიძენი.** მიცვალებულს გაასვენებენ მიხეილის საავათმყოფოდან ვოგზალზე, ხუთშაფთაოს, 2 იანვარს, საღამოს ოთხს საათზე. ხოლო პარასკევს, სამს იანვარს, დილის 9 საათზე-სადღურ სუფსიდან—სოფელ მიქელგაბრიელში, ხრიალეთის ეკლესიის გალავანში დასაკრძალავათ.

რი ცვლილება განვიცადეთ, ძველ დროგადასულ შეხედუ-ლებებს ხელი ვკარით და ახლის შეთვისება დავიწყეთ.
იყო დრო როცა ჩვენს გაზეთს საგრამატიკო კითხვები მიიჩნ-და მთავარ კითხვებათ და მათ გარკვევას აქცევდა მთელ თავის ყურადღებას. იყო დრო, როცა საბანკო კითხვები გვადელ-ვებდა და ჩვენი თანამშრომლებიც მისი ტალღით იყვნენ გა-ტაცებულნი. იყო დრო, როცა ამხანაგობების საშუალებით ფეიქრობდით ქვეყნის აღდგენას, თითო-ორი პირს ვაცხა-დებდით ხალხის ბურჯათ, ვეძებდით ჩვენს მხსნელთ იქ, სადაც უგზო-უკვლონი დანაწარმდებდნენ, ვმეცადინებდით სწვების იმედით გვეცხივრა და საკუთარი ფეხით სიარულს ვშიშობ-დით ერთი სიტყვით იყო ბევრი რამ, იყო ყველა ეს და ამზე უარესიც. მაგრამ, საბედნიეროა, ეს მხოლოდ იყო და აღარ არის, გაქრა, წავიდა და ჩვენც ავახილეთ თვალები. აი ახლა თვალხილულნი და გამოცდილნი ვიყურებით უკან და ვაკვირებით ვკითხულობთ: რა უნდა გვექნა და რას ვშვრებოდით? რა გვესაქირობოდა და რას ვეძებდით? რატომ წინათ არ დავინახეთ ის, რაც შემდეგ დეპატრონა ჩვენს ქუა-გონებას, რისთვის ვაწვდიდით თავის თავს ძალის მაგიერ უძღურებას, აზრის მაგიერ უაზრობას? განა არ ფეიქრობდით არ ვწერდით, არ ვკითხულობდით? როგორ არა, ყველა ამას ვშვრებოდით და ხშირათ კიდევაც ვხმაურობდით. მარა მაინც არა გამოვიდა რა. რატომ?
ერთი ფილოსოფოსი ამბობს, საზოგადოებას იმონებს მხოლოდ თავისივე ყალიბი წარმოდგენაო. და მართლაც არა ძალის რა ისე ძნელი, როგორც თავისივე თავის გაგება, თავისივე მდგომარეობის გათვალისწინება და საჭიროების ასხნა. ჩვენ ყოველთვის ვმეცადინებთ ჩვენი თავი მოვატყუოთ, წერილი საქმე სხელით გამოვიტანოთ, სხელი გადავაფუჩეჩოთ. რაც არ გვესიამოვნება, არ დავინახოთ, რაც გვესიამოვნება, თუნ-დაც ეს ოცნება იყოს, სინამდვილეთ გამოვიტანოთ, და ასე გული ვავიკეთოთ. ასე გასინჯეთ, სამ მომოდინებ წლის წი-ნათ ზოგი პატივცემული მწერალი ვაქცევდით, ამტკიცებდა, რომ ჩვენში ახალი ეკონომიური ურთიერთობა არ არსებობს

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატბიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“
(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.
გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., სასაგარეო წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხელთ სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ.
ადრესის გამტყვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზათ.
ხელის მომწერებს შეუძლიათ წლის ფულა ნაწილ-ნაწილად შემოატანონ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

დღეს სრულდება წელიწადი მას შემდეგ, რაც «კვა-ლის» პირველი ნომერი გამოვიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საგულისხმო მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ბევრნა-



3970

1387

და ვერც იარსებებო. და რომ ეს დაგვეჯერებია, დღესაც ვიქნებოდით დაბმული ყალბი წარმოდგენის ჯაჭვებით, მაგრამ ამ ათ წელიწადს მრავალი ასეთი ხუნდი შეიმუსრა. მარა, საკვირელია, როგორც კი ერთს მოვიცილებდით თავიდან, მაშინვე ვმეცადინებოდით მეორით მაინც დაგვება თავი. ერთი ყალბი წარმოდგენიდან გადავდივართ მეორეზე, მეორიდან მესამეზე და ასე ბოლომდის, ხოლო საზოგადოების წინსვლელობა, ხალხის განვითარება ერთიანათ შეიცავს თავის თავზე მართალი აზრის შედგენას. თუ საზოგადოებამ იცის ის, რაც თვითონ არის, შეგნებული აქვს თავისი ნამდვილი სურვილები, სურვილები მდგომარეობით გააოწვეული და არა ოცნებით, ასხნილი აქვს მისივე არსებობის საიდუმლოება—მაშინ ის აღარ არის უბრალო ადამიანთა კრებული, აღარ არის დაბალ არსებათა ბრბო, ის გამსჭვალულია ერთი აზრით, ერთი იდეით, იდეით—ქეშმარიტით ის მხოლოდ ეხლა იგნებს თუ რა ძვირფასი განძია სამშობლო ენა, სამშობლო მწერლობა, ის ენა და მწერლობა, რომლის საშუალებით მან მოიპოვა ადამიანობა. მის გულში ახლა ღვივის სიყვარული სამშობლოსი, ის კიდევ უფრო ეკვრება თავის ქვეყანას, რადგანაც იცის რომ ეს მისია და როცა იქნება მას მიეკვრება...

ჩვენ ასე გვესმის ქვეყნის სამსახური და ამ გზას ვადვივართ. ერის ხალხის გაცნობიერება, გაადამიანება, დაბალი საფეხურიდან მაღალზე ამოყვანა—აი ჩვენი მიზანი, აი რას ვეტრფით ჩვენ. შეიძლება ბევრს მკაცრათ მოვეყვაროთ, შეიძლება ჩვენმა მოუფერებელმა აზრებმა ბევრში დრტყინვა და წინააღმდეგობა დაბადა, მაგრამ ყველა ეს გამოიწვია მეტის-მეტ გულწრფელობამ, საქმის გულმოდგინებამ და ქვეყნის ერთგულებამ. ბრძოლა დაგვიჭირდა, უსიამოვნება ბევრი შეგვხვდა, სასოწარკვეთილება კარებზე გვირაკუნებდა, მაგრამ ერთწუთსაც მას არ მივცემივართ. კალამი არ დაგვიდვია და საქმისათვის არ გვიღალაოტია. და ეს იმიტომ რომ დარწმუნებული ვიყავით სიმართლეს ვემსახურებოდით და უნაყოფოთ არ ჩაივლიდა ეგ სულის კვეთება. ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებას ვითხოვდით და ვითხოვთ იმათგან, ვინც იპყრობს ჩვენ ყურადღებას. ეს ჩვენ აქამდის არ მოგვკლებია და იმედია არც შემდეგში მოგვაგკლდება... ამ იმედით გადავდივართ მეთაერთმეტე წელიწადში...

სადღაისო ვიზიტაჟი

ისე ტკბილათ დამიბერდით, როგორც მე გემუსაიფოთ თაფლის ენით. არ მოუკვდეთ მას, ვისაც ეჭირვება თქვენი თავი (სხვებისა რა მოგახსენოთ), რო არ წამომკდეს მასპინძლის შუბლ-სანაოკო სიტყვა. მარა ერთზე კი მაინც ბოდიში დამქირდება. მე, ბატონებო ამ წელს რუსეთში ავიღე აბონი-მენტრი, ამიტომ ჩემი ფეხმარდი რაშიც კუ გახლდებათ და თუ რომელსამე თქვენგანთან შემიგდიანდა, ვერ მოველი დროზე, ვერ წაველი დროით, ამაზე უკაცრავათ მოგახსენებთ და ეს არც ჩემი ბრალია. ვინაიდან სასეირნო „ქესტი“ აღარ დაგვირჩია ამბარში, რამეთუ რამდენიმე „ნალებდაკრული ქარავანი ასტრახანისაკენ“ მიიწვიეს.

მაინცა და მაინც, მას აქეთ რაც ზაქიქამიას ანდერძს პირმტკიცეთ ვასრულებთ ქართველები, სტუმართმოყვარეობა ერთიუძვირფასესი ჩვეულებადაა ჩვენთვის. არც მე გავტეხ ანდერძს და ვეწვევი ყველას განურჩევლათ წოდებისა ისე, რადგარც «ივერია» ყნოსავს ყვაილს განურჩევლათ მისი სუნისა.

მარა ერთს კი გთხოვთ, ბატონებო, „შვეიცარს“ თუ „მისაღებ-უკან გასაბრუნებელთა“ სია მიეცით, ნუ მომიხსენიებთ თქვენ მონა რიგოლეტოს, რადგან მართალია ქრთამი

ჯოჯობეთს ანათებს, მაგრამ ჩემს ჯიბეს კი ერთობ წყვედიად მოველინება. სამოთხეში ეხლავ ვტუცავდი თავს, რომ დვორნიკ პეტრეს შევითანხმებდე რამდენიმე გროსი, მაგრამ კიდევ ბევრს გემუსაიფებოდით, მასპინძლებს რაიმე უხელო ზიტო ფიქრების შესახებ, მარა რაში ერთობ ფიცხი და თავდაუტყვარავი გამაჩადავა. მე ეხლა ცალი ფეხი უკვე უხანგში მაქვს, მეორეს თბილისის ქალაქის თავის მოადგილეთ ნამყოფ შესტაკოვის ნებართვით მოვათავსებ და ვეწვევი მის ძველს და არლუთინსკის ახალ საბჭოს.

ჩემმა კუმ რევერანსი გააკეთა ქალაქის მართველობასთან. გადაიბერტყა მტვერია, რომელიც თბილისისავე ქუჩებზე შეიძინა და ორივენი გამოვიქიშენით უფრაკოთ—იცით ვის წინ? ქალაქის სკოლების გაშვება და მასწავლებელთა წინაშე. ისინი ვანქის ტაძრიდან მოდიოდნენ, სადაც სამადლობელი პარაკლისი გადაეხადათ, ვინაი ან ასცდენ შესტაკოვის „უსტავს“ და ქალაქის მაგიერ არ გადაეცნენ „კარაულს“.

— შვიდობით, მომადხეს მათ.
— გზა მშვიდობისა, მივადხე შესტაკოვს და შევუდგე ახალი საბჭოს ძებნას.


აქეთ მივიხედე, იქით გადავხედე და ბოლოს ერთ კონტორშიკთან, რომელსაც წლის განმავლობაში თბილი წყალი ეძლეოდა უფასოთ და შაქარი კი არა, შევიტყე რომ ახალი საბჭო ახალ გზას დასდგომია.

გზები რასაკვირველია ათასნაირია ხმელეთზე. ზოგი აღმა მიდის, ზოგი დაღმა. მაგრამ ჩვენ ახალ საბჭოს კი სულ ახალი ხერელი ამოერჩია. გმირი არასოდეს არ იხედება წინ და მასაც დაეხუჭნა თვალეზი და ეტუტნა კაკალი თავი შიგ სოლოლაკის გვირაბში. ის სწორი გზით ეძებდა ბოტანიკურ ბაღს, მაგრამ კონკას ნახალოვკაზე გამოევილო და თვლების მაგიერ მიგორავდა მხოლოდ ტალახი, რომელიც „უმაზოთ“ შემდეგ სიმორვას ამბობდა:

სადღაისის მთასა ვხვრეტავთ—
გვანდა გავჭრათ აქ ბაღაკი.
ენაზე თაფლი გვატყნა,
კისერზე კი გვაზის ბზაკი!
კინა აქვს, რომ რაბის კონკას
შუა გზაზე სტუდებს ღერძი,
თქვენ ხუმად! ჩვენა სსქმა
მისი ზარი და ანდჷში.
ამასთანვე თქვენც იცით
ზოგი ხე დამაალ-ფეჭია
და უშირველეს რაღ აზი,
ეს ხო ტრამვის კუჭია.

აქ კონცერტი აირია და გამოვიდა პოპური. დაიმღერა „ნახალოვკამ“, დაუმღერა თვის მამას, ვითარცა მორჩილმა შეიღმა, და მოახსენა:

რომ ჩვენი თბილის ქალაქი,
სახალგაისთვის დალაქი,
სადღაისისთვის მუფურხე,
ჩვენთვის კი ენის ლაქლაქი,—
დაბრძალებულა უღრფოთ
ხერელში მიქრება ფოფხითა
იქ გვირახს სჭრის, ჩვენ ქუჩებს
არც კი სწმენდს ძველი ცოცხითა.
ევაილი კაი რამეა,
ენისვა ეკუდას სჯობია
წამალი იმას სჭარია,
ვინც რომა აკათეფოფია.
ბაღს ბოტანიკურს ქვეშიდან



ქართველი
წიგლისმწიქნი

უკეთეს ჯადო-ქარსა,
ეს! როგორ გთხოვო სინდისი
უღკაშებ განსაზრსა.
გადმოიხედე აქეთკენ
დაუბრუნეთ ტალახ-წყალშია,
მაცრამ რა გითხრა მკვლასა
განვეყულ კრავის ტყავშია.

მეტი მოთმინება თავის აგდება იქნებოდა და მოვუწიე
ლაგამი ჩემს მგონს. თვალები განათებულ ცისაკენ მქონდა
მიბჯენილი, მარა რაშმა შავ „ქართველთა შორის წერ. კით.
დამაბნელებელ საზოგადოებაში“ ამომავოფა ფეხები. აქ ბა-
ტონი ცხვეთაძე კალამზე გადამჯდარი შემომდგება. ის ლაპა-
რაკობდა ბევრს, მაგრამ მაზე მეტს უფრო ჩვენგან მონათლუ-
ლი დაძველებული ახლები ლაპობდნენ. მაგიდაზე ერთი უშ-
ველებელი გულა იდვა, რომელსაც გამგეობის წევრნი რიგ-
რიგათ ბერავდნენ. ზურნას აღარ დავუცადე, რადგან, მათსავე
გაკოტრებულ ფოტოგრაფიას გადავეცე წყალგადავებულ
წისქვილის სურათის გადაღება და მოუუტრიალდი იქვე
ქართულ თეატრსაც.

აქაც არა ნაკლები საუკბოვო სურათი: „ახალი დრამე-
ბი და კომედია-ვოდვილები, ამოჯიბგირებულა ვალ. გუნთის
მიერ. მოდით და დასტკბით—ეკილა ზურგზე „ვივსესკა“
ყოველმხრივ ტანჯულ ადმინისტრატორს.

„მე ვარ და ჩემი ნაბადი, რომლითაც ვათენებ და ვა-
ლამებ გამგეობის ყველა წევრის მაგიერ“—იყო კენესა გამგე-
ობის თავმჯდომარე ბ-ნ ქართველიშვილისა, ხოლო ყველანი
კი ერთად საზოგადო კრებაზე ალაპარაკებდნენ თავის მაგიერ
ბ-ნ გუნთის მოხსენებას, რომელიც შემდეგ შეიცავდა: ვ. გუ-
ნთის უნახავს სიზმარში, რომ ყოველ სოფელში უნდა სამუ-
დამო დასი გავიჩინათ. როგორ და საიღამ, ეს საქმეთა გან-
ხილვიდან გამოტოვებულია გამგეობა ამის თანახმა ვ. გუ-
ნთის დაზმანებია, რომ დრამატულ საზოგადოების არტისტე-
ბი ერთობ თავაშვებულნი არიან, ამას ამტკიცებს თვით იუ-
ბიტერიც. იმავე ვ. გუნთის განჩინებით თფილისის სახალხო
თეატრი ყურმოქრილი უნდა იყოს დრამატულ თეატრის
არტისტების მიერ, ვინაიდან მათი მოწყობება წელიწადში
ერთხელ მოველინება ხოლო ამ ღარბთა საღბინოს. იმავე
ვ. გუნთის და ფერხთა მტკერთა მისთა მოქსენა მადლობა
ქალბატონ დემურაასი სახალხო თეატრის სექციის მხრიდან
უსასყიდლო მუშაობისთვის, ხოლო შეჩვენებული ხარჯთალ-
რიცხვა სახალხო თეატრისა არ ეთანხმება მუხ-ომოდრეკას
და ამბობს, რომ ბ-ნი სვიმონიძე და გამყრელიძე ნ-ნ მა-
ნეთს გვახთვეინებდნენ ყოველ წარმოდგენაზე ტანჯვით გაწე-
ულ რეჟისორობაშიო.

რაც შეეხება დანარჩენს, ახალწლის სეზონში მოგახსენე-
ბენ. საცაა დაიდგმება პიესები რომელთა მოწონება შეურაც-
ყოფა იქნება თვით გამგეობისთვის, ვინაიდან ის ამას შეც-
დომით ჩასთვლის თანახმაა წარსული წლებისა,

მშვიდობით, დაუკარი თავი კასას, რომელსაც არავინ
არ ეტანება და რომელიც უზრუნველყოფილია ყოველივე
გამბედვის მხრით, და გამოვეშურე ქვევით, მარა შევიმოკლე
გზა და შეუხვიე „ივერიის“.

— პილოლი! ე. ი. მიულოცე მათ ჩემებურ უნაზე და
შივესალმე მძა-ბიქებს, რომელთაც არტალა კალთაში ედვათ
და დიპლომატიკა კი სტოლზე.

— დაუკარ! დაიძახა რედაქტორობა და ატურდა ხელი.

პანენა „ივერიისა“.

ფეხები გამოვიტყავე,
თავი იგოვე შაბაა,
ჩემი საკურტრუს-დაჯღურთ

ცირკში გამბული ძივია.
ზღობსი თანა მუავს, თვიაღისეკს
როგორ არ ვუთხრა ქებანი
დავით გარეჯელს უმართავს
ჩანგი, წინწილა-ებანი.
მწამს სისუფელე უებრო—
ჩემი ზირველი მტნებანი!
მოდით ისილეთ, ივერთა,
ბებრისა განსსლებანი!

აქ მათუსალი სტუმრების მოსვლაზე შეუდგა თვისი ჩაც-
ვიენილი კბილების გამაგრებას, მაგრამ, რადგანაც ეს პარიკმა-
ხერის ხელობა იყო და ასეთი კი მათვე გააჩნდათ რედაქცი-
აში, მე „აღაბალის“ შემდეგ ჩამოვუქროლე ქართულ სამეუ-
რნეო ბანკს, სადაც თვალა ავარიდე ხარჯთ-ალრიცხვის ქე-
ლენს და გავეშურე. იქით, სადაც ყოველივე უმეწისქვილოთ
იუ-ქვება. ე. ი. „ცნობის ფურცლის“ ქარხანაში ვიახელით.

მოვიკითხე ბროკვაუზის ლექსიკონის მთარგმნელი არ.
ჯორჯაძე. აღარ იყო. ვიკითხე მსუბუქი ზანგი. ისიც განთა-
ვისუფლებულიყო მძიმე უღლიდან. ლალი დასავლეთისაკენ
მიწოლილიყო ბალიშზე.

სიტყვა თვისი კალმით. განბულიყო იატაკზე და ყოვე-
ლი ხმოვანი ასო მას ყანყრატოში ეხირებოდა. ერთის მხრივ
ვახირებული სიტყვა, მეორე მხრივ ლალის ყურთუკიანი თავი
შემდეგი შიქსტით დამხვდნენ.

შიქსტა „ცნ. ფურცლისა“.

დაღს ბაღაშზე თავი უქვეს—
ასეთია მისი წესი,
მას წყალში დასველებია
ცნობის ფურცლის აბუღ-კეკია.
ერთხელ აუღ ისიც გმინი
სამშობლოს ცას მოვედინა,
მაცრამ მიღვა უცებ თავი
და უურთუკსე მიეძინა.

—
იქვე სიტყვა თვისი კალმით
აღმა ფარცხავს დაღმა სთესავს
და ჭკონაა ამირანას
დასახსნელათ ხმადსა ლესავს.
ერთ მხრივ სვრისვას,
მეორე მხრივ აბა-უბა-გადასკუბდა.
ვინ გავიკებს ცნობის ფურცელს
რის იშტა აქვს, ან რა უნდა!?
მომამეც თან მიცანცაღეს,
ისიც პირქვე გადაბრუნდა.
დამატება ეკაოხებათ
მეკობრებო, საით-კუდა?!

მართალია გაუგნებელ სახელმწიფოში ვივიზიტე, მარა
„მოგზაურისაკენ“ გზა მაინც არ დამავიწყდა, მით უმეტეს,
რო მისი ფარანი შორიდან მტერს თვალებს უყენებდა და
ახლოდამ კი მოყვარეს. ვიბრუნე მხარი, რათა მენახა ახალი
საკვირველება ცისა და ქვეყნისა. და ცირკის ბილეთით შე-
ვადე უკლიტო კარები. შესვლისთანავე ძველი ხაშის სუნი
დამიხვდა, მხარული გაბეჩიას „ლაპატკას“ უსვიმდა შუბლზე
და პოეტის „ვივსესკას“ უწერავდა, გვარამაძეს სამეცნიერო-
საპუბლიცისტო ქოფჩას ალოკებდა დანარჩენთ უყრი-
დათ საკენკს ყვლივიწრო ქოთანში. საიღამაც შემდეგი მუ-
ხამბაზი მოვისმინე.

მუხამბაზი „მოგზაურისა“.

სან ვებრწდები, სან ჯათ ვარ,

სან წყალში ვარ, სან წყალს ვადმე,
 ნავი შემსვდა მეტათ ძველი,
 კვებრიალებ ადმა დადმა;
 იამანურ ზურსა ვთესავ
 საქარეკლას ფერდებზე,
 ნეტა ერთი გულა ღებო
 მამონის ბაქას ვზებზე.
 მასათი კი ხელთ მიჭირავს
 და ვართობ თავს ბარკალ-ფეხზე.
 ვილაქვებ, ვიდრე ასე
 დამბამენ მეტათ ქერზე!

მარშრუტი ამჟამად „მოგზაურს“ გამოვართვი, შევუარე „არგონავტს“, ე. ი. იონას, რომელიც ხელ-ახლა იშვა ვეშაპას მუცლიდან და რომელსაც, ვიდრე მეორეთ გამოიჩვენებოდა, ზოილი „თვილ. ფურცელში“ გაეპარა. მივულოცე დაწეწილი იალქნის დაკაწიწება და გამოვემართე „თვილ. ფურცლისაკენ“. „ფურცელი“ თვალისის შტოზე ქარის ნებისაებრ დასეირნობდა, აღარ მოვიწყინე თავი მისი ცქერით და ჩავუხველე „ნოვ. ობოზრენის“, რომლის რ დაქტარის ისტორიაც „პლემის“ ნატურისაებრ ჯერაც არ დაუწერია „ივერიის“ ნარედაქტორალ ი. ჭავჭავაძეს. აქ ლიბერალური თავი შეეგახა, ის სოლოლოკის ფარნებს ჩუმათ შესცინა. ნახლოვანსაც უღიმოდა და მეც სიკოლ-ხარხართ შეკუბვიე კავასიის სამეურნეო საზოგადოებაში, სადაც ვინმე ჯანდერი კომისიის ურჩევდა დაუნშნონ სოფლებს კაცის თავზე თ თო „გოროდოვოი“, რადგან ეს საქირო ყოფილა ქვეყნის ა' აყვავებლათ.

ამაზე სასახარულოს სადღა წავაწყდებოდა! მე შემეძლო უფიქრელათ ვაგზალზედაც ვავსულიყავ და მოვეუსვი მარალაც ამ მხრასაკენ. მაკრამ კუკიაშვიე მომიხდა გაჩურება, რადგან ბილეთების კასასთან მუშტრების რაზმს მტკვართან ედღა ბოლო. ჯერი სადამოთი შემსუდებოდა, დრო კი საშური იყო და ჩემივე ეტლათ უფრო ადრე ჩავადოდა სადაც მინდოდა. მეც სწორეთ ასე მოვიქეცე. მთავახე გორს და შევედექე. შევედექე მატრამ, რომ გულმოსული მტკვარი ქალაქის ბღს ასეირებდა. ესეც ვინაირი დამა-კავალრობაა-მეთქი, მივულოცე ბაღწართმეულ გორს, მოვიკათხე მისი ლოჯოსნობა და დავეშვი ქუთაისისკენ. აქ კი სწორეთ რომ გაემხარულდი. ახალი ჰავა, ახალი ხალხი! ახალი ამბები! ვკარ ლაგამი ქურანს და შევაყენე ყალყზე ბულვარის მოედანზე. არც წამიხდა ხერხი, რადგან ეს ერთათ ერთი ადგილია, საცა შეგიძლია გამოფენილი ქუთაისი დაინახო. აქ ყოველი ხე და ყოველი სკამი ქუთაისის ისტორიაა. მეც მივყავ ხელი ამ ისტორიას და აი რა ამოვიკითხე დანით ამოჭრილ იეროგლიფებიდან: „სობრანიემ“ დავეთვერ, ხოლო როგორ გაეჩნდი ამ სკამზე, არავენ მეუბნება“.

„სასანიტარო კომისიის კასაცია გადაუტანია, სადაც ჯერ-არს, რადგან მათი აგენტები ქუჩის პატრონ-მუარველი და გამწვენდელი ღორები ციხეში წაუყვანიათ“.

„ღუშკაჯან, ეს წერილი სკამის ქვეშ დაგიხვდება, მელოდე ამავე სკამზე“.

„სილოვანის ფიქრები და აზრები მთლათ რითმებიითაა აწერილი, ქარიანს პრეტენზია გამოუტყდადებია“.

„აქაურ წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ 300 მანეთიანი კიოსკი ააშენა. რისთვის და რათა? ამაზე დღეს დაფიქრებული ქუთაისი, რადგან კიოსკში წიგნები არა ჩანს“.

„სათავად-აზნაურო სკოლა პარალელურ განყოფილებებს ვპარება დასანგრევათ. ნატები აგურებით სურს გიმნაზიის განყოფილება დაარსოს. ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში გადატანა ცუდლუტის ანგარიშია“.

„კრუჟოკ“ში „პროშტია“ გახურებული მას შემდეგ რაც იქ ერთმა პედაგოგმა ამ მეცნიერების შესახებ კათედრა დააარსა. ამბობენ, დიდი მომავალი მოელოს ამ უნივერსიტეტს ქუთაისშიო“.

„ბ ნ მიხაილოვს, რომელსაც სურდა აქ კონკრეტული გამართვა, ცხენები დაფრთხობია. ამბობენ, ქალაქის გამგეობა სალორიის ტყეში დაეცხებს მათ იმავე მიხაილოვის მიერ გაუმართავ ელექტრონის ფარნითა“.

ერთი სიტყვით დავათვალიერე გამოფენა, შემდეგ დავაკირე ქვარიანის საზღვარგარეთ დამზადებულ გულას და დავძახე:

ქ უ თ ა თ უ რ ი.

ძველწელიწადმა, ბატონო,
 აგვაგსო ერთობ სიკეთით,
 რაც მადლა ვარსკვლავი იყო,
 ძირს ჩამოყარა მან კეტიო.
 მასსა ჩვენსა ფარნებსა
 სხივებთ, ელექტრონთა,
 წყალი გვაქვს მიღში ნადენი,
 ცვარი ღირს ღებოს წინათ!
 ბატები, ღორი, ქათამი
 და ინდოური გამრავლდა,
 ეს სულ ქუჩებზე, ბაზარში,
 სხელში მათ არგინ მალავდა!
 გვეყვანს სხვა ინდოურებიც,
 მათი ბუდე კი ბაღია.
 ყველა იქ დასდევს ბუჩებსა
 კბილ-მოდტეკითი, ებადია!
 ბაღ-ვეჩურები, — რაღა ვსთქვა?
 სოჭოზე უმრავლესია,
 ყველა იქ არის: ვარინკა,
 გულტერნა, თვალე კეკისა,
 რა ვუყვით, ქმარის ჯიბესა
 თუ მწარეთ დაუგვესია,
 ეს დრამის სიუჟეტია,
 ასეთი არის წესა!
 ერთიც შეგვიძინა ჰანილომ,
 ეს აქაური გაზეთი,
 სხელი მისი „ჭებრში
 კაშვი და მრავალ ფრასებში“.
 ერთი სიკეთეც — სწორეთ ეს
 ვიტყვი, რა გვარანია,
 პოეტი მიღიარდი გვაგს,
 სტარშინათ ქვარიანა!
 ის ზღანოვიჩიც აკურთხა —
 მოღონათ ახლად შავ ქვასა,
 მამინ კბილები შეგვრედა,
 ახლა მოგვითხრობს ამბავს!

აქ კი ცოტა შემიგვიანდა მით უმეტეს, რომ ქიათურას გვერდი ავუტყვი. ეს ვერაფერი ზღილობა მომივიდა და ვისწრაფი იქითკენ ცოდვას გამოსასყიდათ.

მისგლიათანავე დავინახე მომავალი არჩევნების მაღარო, სადაც კალისტრატე ჩიკაიძე მისდევდა რაღაც ძაფს, საღირეპტარო საჯარქლოსკენ. ზღანოვიჩი ბარიერს აკეთებდა, წერეთელი კრთებოდა მისი ხატების წინაშე.

ექსპორტერები ემერიკს ვზიდებოდენ იქითკენვე, და კენჭოსნები კი სწევდენ კენჭების კურსს ბირჟაზე. ერთის სიტყვით აურ-ზაური, მოძახილი, მუქარა, მუშტი, და ყველა ამასთან საშინელი სურათი იქაურ უღრან ქუჩებისა. ეჭვი აქვთ

არჩევნებზე მომსვლელთათვის ქუჩებიდან ამოსათრევად ბლოკები დაგვიჭირდება.

გაოფლიანებული მერანი მივაჯცხე ხონს. რომელიც ათის წლის განმავლობაში ლაპარაკობდა ბიბლიოტეკის გახსნის შესახებ. გახსნა, როგორც იყო მარა ათი წლის ლაპარაკით დაღლილმა წამოიჩოქა ბიბლიოთეკისავე კარებთან. ამბობენ მალე დაეძინება ბიბლიოთეკისა და ხალხსაც ერთ ბალიშზეო.

ქორის ბოხნიდან შევიტყვე, რომ იქაურ მებაგრეშუმეთა ამხანაგობას ქ. შანჩესტერიდამ სამადლობელია დეპეშა მიუღია.

არ გაფრთხილები და ვკარ დეზი ოზურგეთისაკენ. მადლობა ღმერთს, მივატანე დროზე. ოზურგეთი ჯერჯერობით იქავე დამიხვდა მდინარე სუჯი და ქალაქის თავი ცეცხლად გამწვავებულ ბაასში იყვნენ. პირველი თხოულობდა მთლიან ოზურგეთს, მეორე უთმობდა მხოლოდ ნახევარს.

ამავე ცეცხლადეს პროექტი შეუდგენია, რომლითაც საქარის სანერგე ოზურგეთის ქუჩებზე უნდა იქნას გაშენებული, ვინაიდან აქ პატრივი უხვათა ყოფილა დაფენილი.

იქავე შევიტყვე, რომ კვირა უქმე დღეებში რაღაცა ქვითინი და ვაი-უი ისმის კარჩაკეტულ მღაზიებიდან. ამბობენ ეს ხმა აქაურ პრიკაზნიკებს ეკუთვნით. კლიტე კი ბ-ნ ცეცხლადესო.

თავისუფლების მოყვარული კაცი როგორ გავებმებოდი ხიფათში, წყნარათ აუარე ამ ახალმოდის საპატრონებს და დავეშვი პათუმისაკენ. კაი სურათი არც აქ დამხვდა: ლიფერის ქახუნს კასის ყუთებში, როზგები წერ. კით. გამავ. საზოგადოებისა ამავე საზოგადოების სკოლაში შეგირდების მოსადენათ კი არა—გასადენათ, და ქვითინისაბჭოს სააგენტო ყუთებში. კ. ჩხეძე გაცვებული იყურებოდა ყუთის შავი უჯრიდან, ბ-ნი ვოლსკი უყუთოთ დადიოდა შეძრწუნებული. ხოლო პალმი კი კუნტრუშით გადმოვარდნილი საარჩევნო ყუთიდანვე „ჩერნ. ვესტნიკი“ ს ხერელში ეძებდა ხსნას და შევლას. რას აკეთებდა ქალაქის თავი ანდრონიკოვი, ეს ძნელი გამოსაცნობი იყო, ვინაიდან ის არა სჩანდა რჩეების ტალღებ შუა.

ჩემი მოვალეობა შინც შევასრულე—ვუსურვე არ ვასცვეთოდან ძველი ბალიშ-მუთაქა და გავემართე ფოთისაკენ.

აქ თურმე ერთნაირი მოდა შემოუღიათ. ეს დაუკანონებია საბჭოს, ბეჭედი დაუკრავს ბ-ნ ნიკოლაძეს. მოდა შემდეგი გახლავთ. საბჭო სდუმს, ნიკოლაძე ლაპარაკობს, გამგობა სდუმს ნიკოლაძე ლაპარაკობს. ქალაქიც იქ აღარ იყო, რადგან ნიკოლაძეს პორტფელი ხშირათ დასეირნობს საზღვარგარეთ და შიგნით. ის ამ პორტფელში ყოფილა მომწყვდეული, ერთი სიტყვით ვერ ვიხილე ფოთი. და ვიბრუნე პირი აღმოსავლეთისაკენ.

ერთი ფრთის მოქნევით ჩემმა მიმინომ გადამატარა ქართლზე, რომელსაც უკმაჯური დასწოლოდა თავზე და იწვა ისე, რავაოც წვანან ხოლმე იქ, საცა არ არს არცა ურვა, არცა დრტინვა, არცა ძახილი გაღვიძებისათვის.

მე იავნანას სათქმელათ არ მეცალა და შეუთამაშე კახეთსაკენ თელავს. აქ ერთსა და იმავე დროს სამგან გავმართათ თეატრი. კულისებში მოისმოდა დირექტორების მუშტთა გრიალი.

ბიბლიოთეკა განაბულიყო, და ყურს უგდებდა—აცა ან ეხლა მწვდება ყაყრანტოში მიქელ-გაბრიელი ან ეხლაო. სამეურნეო კომისია არკვედა, პურის ბედლები რათ იყო ცა-

რიელი და დაასკვნა, რომ ეს სულ „თაგვების“ ბრალია. ვინ მოაშორებს ამ „თაგვებს“ ხალხს, ეს მათი პროგრამისთვის აღკრძალული ხილი ყოფილა.

დამრჩა სიღნაღი, მარა ჯერ ისევ ნახევარ ცხენად ვიყავი, რომ ქალაქი შუა გაბობილა. ერთი მხარე დასჯანებია კავკასიისის მთას, მეორე ცოც გომბორის მთას მისვენებულა. მედიტორეთ ახირებული ხევი ყოფილა, რომელსაც რსარივით გაუვლია სიღნაღისთვის გულში. ეს სამწუხარო ამბავი ქალაქის სტაროსტას ჯერ არ გაუგია, ვინაიდან ძნელია ძილში რისამე დენახვა.

რომში პაპის უნახაობა და კახეთში—კახურისა ერთნაირი ცოდვაა და მეც სასიმღერო გუნებაზე მოველი მით უმეტეს, რომ ჩემი მარშრუტი პრინციპით შევასრულე, ამიტომ დავამდგრე მე შემდეგი მისალოცი დიასახლისებთან:

გოზინაყით შეგალოცავთ!
გაიტკბებლეთ მწარე ენა,
ჭირის გულის გარეშამა
გამართუვით ტყუა-ლხენა!

„ბ ა რ ი შ ნ ე ბ ს“

მიმინოს ფრთას თქვენც გასურებო.
ეგებ დმერთმა გადმოგხედოთ
მს! ძნელაა „ხალხსტათა“!
ყოფნა მარტო უმეგობროთ.

რიგოლეტო.

ფ ა ნ ტ ა შ ი ა.

(დექსი პრეზიათ.)

ქვეყნის მფარველმა ანგელოზმა ჩამოიარა!.. ბინდ-აუნდს ჩამოჰყვა უხილავათ, გაშალა ფრთები და დღის სიციხადით გაოგნებულ დედამიწასა, ღამის წყვილიად მოეჩვენა, ზე გადევარა: უბეს ჩაიწყო მედიდური ამაცი მთები, უცხოთ ნაქარგი ველ-მინდორი მკერდს მიიხუტა და მაშვრალ ხალხის ბინა-სადგურს ჩაბნელებულსა გასამხნევეგლათ ოცნებანი გადაათინა!.. ცა გაიბუტა!.. ეუცხოვა სხვის გამგებლობა და სიბრაზისგან აღანძულმა, ჩაყვითლებულმა, შავი ღრუბლები გულმოსულათ შემოიფანტა!..

გაწყრა მიწაცა!.. ითაკილა ცის უკმეხობა და, ანგელოზის ფრთისა ქვეშე შეფარებულმა, სასაყვედუროთ ცას პირქუშა დიდხანს უმზირა.

სხვა კი რა ექმნა?!.. მალალს დაბალი ველარ შესწვდა, ვერ შეეტოლა! უილაჯობით ერთი მწარეთ ამოიხრა, თავი აწყვიტა მთის კვარცხლბეკსა და... მიიძინა!..

ქვეყნის ოხვრანზე ანგელოზმა შეიფრთხილა, ფრთები მოკუმშა, გრუზა თმები შეილამაზა და ნაღვლიანათ მიმოაფლო სამყაროს თვალი. სვეტათ შეუდგა ცის გუმბათსა მის თვალთა შუქი, სიცოცხლის ძალათ მოველინა დედამიწასა და მთის მწვერვალზე დაყრდნობილსა ზეცისა კიდეს ფერი უცვალა... შეაწითლა ცის დასავალი!..

„მიწავ, ნუ გმინავ, ცავ-მალალო, შურიოთ ნუ კვდები... ნუ, ნუ იქმნებით მომდურავი ერთმანერთისა!“ დაიჩურჩულა ღვთაებრივათ სამყაროს გამგემ და... ცისა და ქვეყნის საკავშიროთ, შესარჩებლად, მალლა შესტყორცნა ბლუჯა-ბლუჯა მარგალიტები.

აენთო ზეცა ვარსკვლავებით, მთლად აპრიალდა! შავი სუდარა გულ-მკერდიდან გადაიხია და ტანთ ჩაიცვა ფარჩის კაბა ოქროს ღილებით. ტურფათ მოირთო, საოცნებოთ მოაკველავდა,—ენით გამოთქმა მის მშვენების ვერ მოხერხდებ-

ბა!—ხომლის კუნწულა დაიბნია გულზე მეფურათ, ირმის ნახტომი შემოიკრა, გააქამარა. შუქურ-ვარსკვლავი, მოარშიყეთ მესაიდუმლე, მთვარეს აახლა, მობრძანდიო მას დაუბარა და როს გამოჩნდა მთვარე ბადრი, მთვარე უებრო, გულში ჩაიკრა, ეთაყვანა, გაათამარა. *)

სიზმარში იყო ამ დროს მიწა გულჩათხრობილი... მაგრამ სიზმარი რმისთანა თქვენ მტერს ეზმანოს!...

ავაკობასა დაებლუჯა მთელი ქვეყანა ძალმომრეობა გაეხადნა, თვის თანაშემწეთ... შვილნი ქვესქნელის, — რომ არავინ გამოეპაროს, — ერთ ურთს მიჰკროდენ, ხელი ხელსა მათ ჩაეკიდნათ და მბრძანებელათ გამხდარიყვენ ტანჯულის მიწის... ეშმაკნი ცეკვდენ, აღქაჯები ტაშსა უკრავდენ და... გრძნეულთ სიტყვით აღზნებულნი კუდიანები ცეცხლის შოლტებით ცხოველთ სადღაც ერეკებოდენ. ბლუოდა ქარი, კვნესოდა ტყე, მთა ქვითინებდა და შავი ნისლით შებურვილი მტირალი ბარი, ბნედიანივით ცასცახებდა... თრთოდა საბრალო!... ზღვაცა ზორგავდა, ღრიალებდა, ზვირთითით ზვირთს ჰკლავდა და ამრეზილი, აქოჩრილი, შვების არ-მპოვე, გულმოსაფხანათ ესეც ხმელეთს ეჩხუბებოდა.

საწყალი მიწა, მონასავით ჩაფერფლილიყო! გულს უღადრავდა მწარე ყოფნა-აუტანელი. პირქვე დაემხო აღქაჯების

წინაშე მხდალი და მათ შესთხოვა: „ან სიკვდილი, ან ხანა-საამო.“

„იბრძოლე მარად... მუცლით ფოფხვა რეჩხენჯაქ...“ დასძახა მიწას ანგელოზმა გულთამხილავმა, მაგრამ მთელი მხრებში მტირალ ქვეყანას და მამაცურად იგი ფენხე წამოაყენა.

გამოედვიდა დედა-მიწას და გაედიმა!

„კა მოწმენდრი სასიოებითა დაჰნათოდა, დაჰქათქათებდა...“ მთვარეს მოცინარს ჩამოეშვა ნატურისა კიბე და დედამიწას სააღერსოთ თვისკენ იწვევდა. შეაშრა პირზე ქირის ოფლი ხმელეთს წამებულს და ამ კიბეზე გაისტუმრა თვისი ოცნება... ამალდა სულით, გალომ-გულდა და გათამამდა. შავი სიზმარი შეეცავდა ტკბილ სამყოფელად: ყრუ ხევ-ხუვები ავსილიყო აღქაჯთ ჩონჩხებით, ყურებ დაქრილი ეშმაკები და ხოცილიყვენ და მათრახებით დატვირთული კუდიანები შოლტებისა და კონდახის კოცონს ეკეთნენ. ტყე ტაშს უკრავდა, ველი ცეკვდა, მთა ხარხარებდა და ომ-გადახდილ ვაჟაკით ვით გარინდებული, ზღვა მობობოქრე, ზღვა მღელვარე — კვლავ იცინოდა!...

ია ეკალაძე.



დანგრეული პირაი

(წარსულიდან).

თფილისიდან ასე ოცი ვერსის მანძილზე, სწორეთ იქ, საღაც ოდესღაც საქართველოს მეფეთა სატახტო ქალაქი ყოფილა, ეხლა მხოლოდ პაწია და ისიც უშნო სოფელია გაშენებული. ამ სოფელს მცხეთა ქვიან. აღმოსავლეთიდან მას საზღვრავს მდინარე არაგვი, დასავლეთის მხრივ — მტკვარი, ხოლო ყოველ მხრიდან კი იგი შეზღუდულია მთებით, რომელთაგან უფრო უმაღლესი ქედი დღეს უკვე მოტიტვლებულია. იქ მხოლოდ ნიშნებილა ოდესღაც ატეხილი და და-

ბურული ტყისა. დანარჩენი მთები დაფენილია ტყით, მარა მათაც აღარა აქვთ წარსული სიდიადე, წინანდელი ელფერი. აქ ვერარა ნახავთ ასწლოვან ხავსით შეზოსილ მუხას, ვეღარ ნახავთ ჩაბარდილ ბუჩქნარებს, რომეღნიც ნადირსაც კი არ აძლევდენ გზას. მაინცა და მაინც ქალაქიდან გასული კაცის თვის დღესაც ეს ქედები თვალწარმტაც სურათს წარმოადგენენ. მეტადრე ზაფხულში, როდესაც თითქმის განუწყვეტელი ნიავი ატკრციალებს ფოთოლს და საიდუმლო სიყვარულით ასაუბრებს მტკვრის გულჩათხრობილ ტაღლებთან, მათი სიკვლავიც და მისთან მედიდურობაც ამ ჟამათაც იტა

*) გაამეფა — (თამარ-მეფე)

ცებს მაყურებლის ფიქრს და ძალაუნებურათ ატრიალებს მას სულ სხვა სურათის გარშემო, როდესაც ეს მთები არამც თუ ერთი ორათ გულის დამატყვევებელი იქნებოდნენ თვისი სიმშვენიერით, არამედ ისინი ამავე დროს წმინდა და სათაყვანებელ ადგილსაც წარმოადგენდნენ მათთვის, ვინც თაყვანსა სცემდა არმაზის კერპს. ეს მთები ამ კერპის სამფლობელო იყო. აქ ერთ უმშვენიერეს წვერვალზე იყო აღმართული მისი კვარცხლბეკი, აქედან ბრძანებლობდა ის ხალხზე.

მე მინდა მოვახსენო მკითხველს ცოტა რამ ამ კერპის შესახებ.

* *

ახალი წლის წინა დღე იყო. არმაზის მთის მწვერვალს შავი ნისლი შემოხვეოდა, ხოლო ძირს კალთებზე კი მოსჩანდა თეთრათ შემოსილი დაბურული ტყე. სიჩუმეს ხანდიხან მოუსვენარი შაში თუ არღვევდა, თორე ამ საშინელ სიცივეში ყველა მინაბულიყო, ყველა გაქვავებულიყო. მტკვარიც კი აღარ ებრძოდა კიდეებს ჩვეულებრივი ტალღების ტყლაშუნით. ის ყინვას შეემწყვდია ბორკილებში, თითქოს არ უნდოდა დაენახებინა მისთვის ფერმკრთალი ცის ლაქვარი, ლევა ღრუბლები ხან მიიზღაზნებოდნენ ქარავანივით ხან შეჯგუფდებოდნენ ერთათ და აშენებდნენ უცნაურ ციხეკოშკებს.

სწორეთ ამ დროს მტკვრის მარჯვენა მხარე კი სულ სხვა სურათს წარმოადგენდა. მცხეთას არაჩვეულებრივი ელფერი ედვა. ხალხი გამალებული მიდივ-მოდოდა აქეთ-იქით და უფრო კი იმ კოშკისაკენ, სადაც ფარნაოზ მეფე თვისი ამალით გამოსულიყო მოედანზე. ყველა რილაცის მოლოდინში იყო, ყველას მოუთმენლობა ემჩნეოდა. ხალხი ხან მეფისაკენ შეჯგუფდებოდა, ხან კი მახლობელ კოშკის კარებთან. მათი გული შეეპყრო ამ ორ ჯადოს და ისენიც; ვეღარ შორდებოდნენ მათ. მოუთმენლობასთან ყველას რაღაც სადღესასწაულო ელფერი ედვათ, ისინი ელოდნენ რაღაც სასიხარულოს. სიცილ-ხარხარი ახმაურებდა ზამთრის გათოვნილ ჰაერს. ხოლო დაკვირვებული თვალი უქვევლათ შენიშნავდა მათ შორის სამ ადამიანს, რომელნიც საზოგადო სიმხიარულეში არ იღებდნენ მონაწილეობას — ისინი ადგნენ განმარტოვებით და რაღაცაზე დაბალი ხმით მუსაიფობდნენ. მათი დაღვრემილი სახე როგორღაც არ ეთანხმებოდა გარშემო სადღესასწაულო სიხარულს და ღიმილს.

ესენი იყვნენ ქაბუკი ქუჯი, მისი ამხანაგი გორდო და ახალგაზდა თვალწარმტაცი სიმშვენიერის ქალი ნინო.

— მაშ ფრთხილათ... ჩაილაპარაკა ქალმა და გამოორდა თვის მოსაუბრეთ, როდესაც დაინახა, რომ ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა.

სწორეთ ამ დროს გაიხსნა კოშკის კარებიც და იქიდან გამოიყვანეს სამი ხელებ შეკრული ახალგაზდა კაცი.

— არმაზ, შენთვის! არმაზ, შენთვის! დაიგრილა ბრბომ და რამდენიმე ათასი კაცი დაემზო მიწაზე.

ხელებ შეკრული მეთის ტახტრევანთან მიიყვანეს. ხალხი გაშმაგებული თვალებით უყურებდა მათ. ქურუმმა არიოსმა საშთავეს ტანისამოსი გახადა, შემდეგ გაუშინჯა მათ კუნთები, კისერი, ზურგი და ვამბორა რა მეფეს მუხლებზე, მიმართა ხალხს.

— მართლმორწმუნენო, ჩვენის დიდებული ღმერთის არმაზისა, მტვერნო უძლიერესი მეთისა ჩვენისა ფარნაოზისა, ვილოცოთ, რამეთუ შეიწიროს მწყალობელმა ღმერთმა ჩვენმა მსხვერპლი ესე. ოხ, არმაზ! ოხ, არმაზ! მოგართმევთ სამსა ამა ზვარაკსა ესოდენ სისუქითა და იყოს წყალობა შენი თავსა მეფისა ჩვენისასა და შინათა მათზედა, მოიდრიკეთ მუხლი ნი თქვენნი, მონანო, და ვამბორეთ ნატერფალსა ფერხთა

მეთისათა, რომელი იგი არს შემწყნარებელი ღმერთისა ჩვენისა.

გატიტვლებული მსხვერპლი დაემხვენ მეთის ტახტრევანის წინ. ქურუმმა დანა ამოიღო და თვითეულს მათგანს ქურუმოსკრა ყურის ბიბილო. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ხელებ სამივენი უნდა დაკლულიყვნენ არმაზის კერპის ტრანვენზე.

— არმაზ, შენთვის! არმაზ, შენთვის! დაიგრილა კიდევ ბრბომ და დაემზო იმ მხარეს, საიდანაც მოსჩანდა ნისლით შემოსილი არმაზის მთის წვერვალი.

ახლა ლაპარაკობდნენ მხოლოდ ტყეების ავარგიანობაზე, მათი სათათბირო საგანი მხოლოდ ეს სამი ადამიანი იყო. ყველანი თვისთვისათ საზრავდნენ, თუ რამდენათ იყვნენ ჩასუტებული სამსხვერპლოთ არჩეულნი და ან როგორ შეიწირავდა მათ არმაზი *). მეფემ ქურუმს მზრუნველობა მოუწონა და აღუთქვა რა თვისი და არმაზის წყალობა, გაემართა ამალით სასახლისაკენ.

ხალხიც ყიჟინით დაიძალა. მეორე დღის მოლოდინში ისინი მანც ვერ დამშვიდებულებოდნენ და აქა იქ ჯგუფ-ჯგუფათ დაყოფილნი კიდევ საზბრობდნენ დღესასწაულის შესახებ, ვიდრე საღამოს სუსხიანმა ნიავმა არ გაფანტა ისენი სახლებში.

* *

ჩამოზნელდა... ღრუბლებით წავრავნილ ცაზე აქა-იქ ბჟუტავდნენ ვარსკვლავები. მთვარე ხან გამოჩნდებოდა და განათებდა თეთრათ გადაპენტილს მიწას, ხან ისევ მიიმალეობდა და თან წაიღებდა ვერცხლის ფერ შუქს, თითქოს თავისკენ იტყუილებდა ქვეყანას, თითქოს ეძახდა სიბნელეს თვის ცისკროვან გულისაკენ.

მცხეთას ეძინა. ეძინა იმ მთასაც, სადაც ქვიტკირის მაღალ კვარცხლბეკზე ამაყათ ამართულიყო ადამიანის სახით გამოქანდაკებული არმაზი. იქავე ახლოს კოშკში ქურუმებს ცეცხლი გაეჩაღებინათ და შემოსწოლოდნენ გარშემო. ისინი ტბილ განსვენებას მისცემოდნენ. კოშკის ერთ კუთხეში რკინის რგოლებზე ხელოვნით გამოზმულნი ეყარნენ სადავეობლოთ გამზადებულნი, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეშრობოდათ ზიბილოჩამოჭრილ ყურებზე სისხლი. ისინი იწვნენ პირქვე და ხანდისხან, როდესაც ალი შეანათებდა კოშკის დაღვრემილ კედლებს, საბრალონი შეაფათურებდნენ ხოლმე თვალებს იმ საღეთო დანას, რომელიც მათ თვალწინ გალესა ქურუმმა და კაჩოზე ჩამოჰკიდა. გმინვა და ქვითინი აკრთობდნენ მკვდრულ სიჩუმეს.

* *

სწორეთ ამ დროს კოშკის მეორე მხარეზე, ხევს იქიდან, სალი კლდის პირას, სადაც ეხლაცა სჩანს გამოქვაბული, ფეხ აკრეფით ადიოდა ორი ადამიანი. ისინი ყოველ ნაბიჯს უფრთხილდებოდნენ, რომ დაგორებულ ქვას არ გაეცა მათი საიდუმლო. როგორც ემცნეოდათ გზა მათთვის არც უცნობი იყო, მით უმეტეს რომ ამ ბნელ ღამეში ამ ფრიადოხზე ხამი კაცი დღისითაც ვერ შეგედავდა ასვლას.

— ფრთხილათ ნინო, ფრთხილათ! მოისმოდა ფურჩული მიკიბულ-მოკიბული წრიაფიდან.

ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ისინი შეჩერდნენ გამოქვაბულს ქვევით ასე ოთხი-ხუთი საყენის მანძილზე. ამის ზევით ფეხით ასვლა შეუძლებელი იყო.

— აქ არის ჯაჭვი, ჩაიფურჩულა კიდევ იმ ხმამ, ადი ნინო! მისცა მან ხელში ჯაჭვი ამხანაგს და რამდენიმე წამის შემდეგ გამოჩნდა მალლა გვირბისაკენ ხერხიანათ მიმცურავი სწორეთ ის ქალი, რომელიც ასე გატაცებით ელაპარაკებოდა

*) ისტორიული ცნობებით სამსხვერპლო მონებს სავანეებოთ ინახავდნენ და ასუქებდნენ.

მცხეთის მოედანზე ორს ყმაწვილ კაცს. მისი მეორე ამხანაგი იყო ერთი ამთიანი. რამდენიმე წამის შემდეგ ისენი უკვე გამოქვაბულში ანთებულ ცეცხლზე ატრიალებდნენ ხელებს და თან რაღაცას თათბირობდნენ გატაცებულნი.

— ცდა აღარ შეიძლება, უეჭველათ ამაღამვე უნდა დაინგრეს! წარმოსთქვა ქალმა გადაწყვეტილი კილოთი.

— მერე ხომ ჩაგვეწარა სიცოცხლე, ჩემო სიყვარულო! ჩვენ მტკვრის ზვირთების მსხვერპლნი შევიქნებით!

— და განა, ეხლა კი ტყბილია სიცოცხლე?!

— შენთან? ოხ, შენთან თვით ჯოჯოხეთიც კი სამოთხეა ჩემთვის! ჩემო ნინო, ჩემო უკვდავებავ! დავანებოთ თავი ჩვენ განძრახვას.

ამ სიტყვებით გადაეხვია ქაბუკი მშვენიერ არსებას, რომლის ერთი შეხედვაც კი მართლაც რომ თვით გულში აღგზნებულ გენიას ჩააქრობდა.

— ეს შეუძლებელია! დავანებოთ თავი! რას? იმას რასაც ჩვენი მოვალეობა შეადგენს? მერე მე როგორ ვუყურო დამშვიდებით არმაზის სისხლით შეღებულ კვარცხლებებს, ყელ გადაწვეულ ადამიანებს, სიკვდილს კერპისათვის, ხალხის დამმონებელს, ხალხის სულთა-მსუთავს, ხალხის გზის შემბორკვევლს ნაძვილ ღმერთისაკენ! არა, გორდო, მე მინდა სიყვარული, სიყვარული სხვა გვარიც. მე მინდა ბედნიერება ჩემ გარშემოც! ეს იქნება მტვრათ ქცევა არმაზისა, მის ნანგრევებზე უნდა აშენდეს ეკლესია სიყვარულისა, სათნოებისა, ძმობისა და თანასწორობისა. ცრემლი და სინანული, ტანჯვა და განცრობა, ფუფუნება და სიმშლი, აი არმაზი, აი ის ამას აძლევს დღეს ხელს, რომელსაც ჩვენ უნდა გადავძაბოთ ამ ზოიდან: აღდექი, ტანჯულო ძმაო, დეე განთიადის სხივები მიესალმუნოს შენ დახედაცებულ იარას! დეე ნაღველზე იფეთქოს გაზაფხულის ყვავილმა და ჯოჯოხეთზე აშენდეს სამოთხე!

— ქალმა ხელები ზვეით აღაპყრო, ის ამ დროს რაღაც უხერხულ სურათს მისჩგრებოდა. ის თითქოს სულით მიფრინავდა შორს, შორს სხვა მხარეს, რომლის ხატებაც ბრწყინავდა თვით მისსავე ანგლოზურ მშვენიერ თვალეში.

გორდო გაკვირვებული შეყურებდა ქალს. მას ეეჭვებოდა, ნუ თუ იქნება კიდევ სხვა ღმერთი ცასა და ქვეყანის შუა, გარდა ნინოსი და ან თუ იქნებოდა, ნუ თუ ის აღმატება სიმშვენიერით მის გულის კერპს ნინოს?!

— „განვხეთქოთ აპაურნი მათნი და განვაგდოთ ჩვენგან უღელი მათი!“ **) წარმოსთქვა ნინომ და წამოდგა ზეზე. ის აღგზნებული თვალებით იყურებოდა ხევ გაღმა, სიღამაც სიბნელეში გამოსჩანდა არმაზის მედიდური ქანდაკება.

— ვა... უუ! ვა... უუ! შედმუფლა ამ დროს საიდამლაც მგელმა.

— ვა... უუ! ვა...! გაიმეორა მიყუჩებულმა სალმა კლდემ და კვლავ მიწყნარდა არე-მარე...

ნინო შეკრთა. ის თითქმის ნახევრათ გადაიხნიქა ფრილოსაკენ და ის კი იყო უნდა ჩაშველულიყო ჯაჭვებზე, როდესაც გორდომ სტაცა მას ხელი და შეაყენა.

— მაშ აღარ... აღარ იციდი?

— შენ შეგიძლიან დარჩე! მიუგო მას ქალმა ბრახმორეული ხმით.

— გული, გული შენ მიგაქვს თან, ნინო! მე სადღა წავიდე თუ შენ არ გამოძევები! მიძახხა გორდომ და ორივენი ერთათ გადმოეშვენ იმავე ჯაჭვით ძირს. ისენი მალე გაქრნენ ლამის სიბნელეში...

მგელი, რომელიც გამოეხმაურა ამ უღრან კლდეებს, იყო ქუჯი. ის ამით ნიშანს აძლევდა აქა-იქ ჩასაფრებულ თავის თანამოაზრეებს.

განთიადიც ახლოვდებოდა. აღმოსავლეთისაკენ ცის ტატნობი ერთ წუთს შეიქმუხენა... ჩაშავდა. ეს იყო უკანასკნელი მწარე ღიმილი განთიადის სხივთა თაიგულის ქრებულობისა. ეს იყო ის დრო, როდესაც ქურუმებს უნდა განეხილათ მნათ და მიეტანათ არმაზისათვის დამზადებული მსხვერპლი.

სწორეთ ამ დროს ზემოხსენებულ კოშკთან შეხედენ ერთმანეთს ქუჯი რამდენიმე სხვა კაცით და ჩვენი ნაცნობი ნინო თავის გორდოთი. ყველას ხანჯლები ამოდებული ეჭირათ. ისენი ელოდნენ მხოლოდ ნიშანს.

— ჯერ ქურუმნი... წაუფურჩულათ ნინომ და ყველანი გაემართენ კოშკის კარებისაკენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ იქიდან მოისმოდა მხოლოდ ხანჯლების ჩახი-ჩუხი, კენესა, მუქარა, ვედრება, ხოლო მალე ყოველივე ეს ჩაიბარა საღმა კლდემ, სადაც უფსკრულისაკენ მიგორავდნენ დაჩეხილი გვამები ქურუმისა.

არმაზი კი ჯერ ისევ ამაყათ იდგა თვის კვარცხლებეზე.

— აქეთ! მოისმა კიდევ ნინოს ხმა და ვერც კი მოასწრო მან ხელის აწვდა, რომ არმაზის ბრწყინვალე თავი დაეცა მის ფეხებთან. რამდენიმე წუთის შემდეგ მისი კვარცხლებეც მხოლოდ ნანგრევებსა წარმოადგენდა.

ქუჯი თვისი ამხანაგებო, და განთავისუფლებულ მსხვერპლებით სთელავდნენ ამ ნანგრევებს.

გათენდა... მოკრიალებულ ციდან გადმოეშვა შუქურა სხივი აღმოსავლეთისა. ის კისკისობდა სვეტაკ თოვლზე... იცინოდა... იღიმებოდა... თითქოს მასაც შეეტყო არმაზის დანგრევა... თითქოს ისიც დასცინოდა მის მტვრათ ქცეულ დიდებას...

ი. ევლავილია.

ახალი წელიწადი.

(გუბ. ქართველ მოღვაწეთ).

მივესალამოთ ახალ წელიწადს, გულს ვარდი ვუძღვნათ და ხელს ფიალა, წალმა ვაბრუნოთ ბედის ბორბალი, გაემხნევედეთ სულით, მოვიცეთ ძალა.

ვიწამოთ შრომა... და თუ ჩვენ შორის აღმოჩნდეს ვინმე მრავლგზით ტანჯული, ჩვენ დავიფაროთ, ჩვენ დავეხმაროთ, ჩვენ ვიქმნეთ მისი მწე და მსაჯული.

ფარისევლობას, მძლავრთ უკმეზობას, ნულა დავუთმობთ ფართო სავალსა... სირცხვრლი იმას, ვინც, რომ გაივლის და არ აღბეჭდავს თავის ნავალსა.

ბ. ახოსპირელი.

აკვანთანი.

დედის მკერდზე თაიგულათ მიკონილა პაწა ვარდი, იღიმება გაზაფხული, მან არ იცის, რაა დარდი,

გარშემო კი მწარე ოფლის მორევი სდულს, ისერის ტალღას და აწოვებს ჩვენ ცხოვრებას გულ გასაგმირ ტანჯვა-ბაღლამს!

გაიცინე, პაწაწინავ, გაახარე ნორჩი გული,

***) იხ. II რეცხალმუნი დავითისა. ავტ.

დედის მკრლზე ააღეთქე
მშობლიური სიყვარული!

გაიცინე, ვიდრე დრო გაქვს,
ჩაკონილო დედის გულში,
მოვა დრო, შენც ჩაეშვები
ტანჯვა-შრომის შავს ჯურღმულში!

ვინ რა იცის, რომელ ტაღლას,
შვილო, მაშინ გადაყვები,
მტარვლის ხელით ბრძოლის ველზე,
ჩემო კარგო, თუ მოკვდები?!

ან თუ ბედის იალქანი
გაგყრის გულით შობილს მშობლით
დაივიწყებ ბედში მყოფი,
გამოზრდილო მწარე ოფლით:

რათ შეგტრფოდი, რისთვის გზრდიდი,
რათ გიძღვნიდი კოცნა-აღიერსს,
არ ვინანებ ჩემს მკლავებზე,
დახუჭავდე ცხლავ თვალებს!

მაგრამ ვარდო, განთიადის
მზის სხივებზე გასაშლელი,
გაზაფხულის მოციქული,
მხოლოდ მისთვის სანატრელი.

თუ კოცნასთან ჩემი გულის
წყლულიც გულში ჩაგვხვენა,
ალაღია შენთვის მაშინ
ჩემი ტრფობა, აღმაფრენა!

მანამდის კი გაიცინე,
ჩაკონილო დედის გულში,
მოვა დრო შენც ჩაეშვები,
შვილო, შრომის შავს ჯურღმულში!

ი. ვვლოშვილი.

**მხატურის შავი ჯვის მხარეთაშორისა მომავალი
კრახის შესახებ.**

ესა, მეორე საუკუნეში, ხადისი გონებით და მიხედვით
ბით ამდენათ განვითარებული უნდა იყოს, რომ საზოგადო კრების
მნიშვნელობა და უნარი ესმოდეს, მაგრამ, სამწუხაროთ, უკვლახ არ
ესმის ეს; აი მაგალითები: მომავლის 1903 წლის იანვრის შეი-
დი რიცხვიდან ქ. ქუთაისში დაწინაურდა ჭიათურის შავი ჭვის მწარ-
მოებელთა კრება, ესე იგი „სიეზი“, რომელსეც უნდა გა-
მოირვეს უკვე გასეთებში გამოცხადებული და დასახლებული საგ-
ნები, და აგრეთვე განხილულ უნდა იქნეს შავი ჭვის მოწვევით
საბჭოს ადრინდელი მოქმედება. ამ კრებას უნდა დაესწროს ვეფლა,
ვისაც კი ხმა აქვს. მაგრამ სამწუხაროთ, ბევრა მწარმოებელთაგანი
კრებას ვერ დაესწრა. ერთი მიზეზთაგანი, რომლის გამოც ბევ-
რი ქართველთაგანი ვერ იქნებინა „სიეზი“, არის ის, რომ 7
იანვარს დაინიშნა კრება; მოგეხსენებათ, რომ 20 დეკემბრიდან 15
იანვრამდე ჩვენი ხალხის საქმიანობას შეადგენს დღესასწაულების
მიგებება და ქეიფი. მაშასადამე ვეფლა დაშეთანხმება, რომ სიეზ-
ი უდროოდ დროს ეოფილად დაინიშნული, თუ ჩვეულებას ადვილი
გადასვლება არ არის.

მეორე, მესამე და სხვა მიზეზები, რის გამოც მეტი ნაწილი
შავი ჭვის მწარმოებელთა კრებაზე ვერ დაესწრებინა, კიდევ ჩვეუ-

ლებრივი და ცხადია, ეს არის სიღარიბე, კრიზისი და შეუძლებლ-
ბა თავისი ინტერესებისა.

თუ თქვენც დაშეთანხმებით ბბ. მკათხეველთა, ბევრ სხვა
სხვა მიზეზები კრებაზე დაესწრებლობის მოგონებებს და
მწარმოებელთა, რომ კრება ჭიათურაში მომხდარიყო. კრება რომ
ჭიათურაში არ მოხდა ამის ბრალს ჩვენი შავი ჭვის საბჭო სდებს
კრებისათვის შესაფერა შენობის უქონლობას, მაგრამ მე კი თამა-
შით შემიძლია დავსადა ამის ბრალი საბჭოს, რომელიც არ ეცადა
ასეთი შენობის აკებას.

საგსებით ვეფლა ცოდვები, რაც თავის სიტყვებში ჩუქდენია
ადამიანს, განკითხვის დღეს აღენუსებათ, ნათქვამია, და თუ არ
გვდები, ჩვენი საბჭოსათვის მომავალი კრება მიახლოებით ასეთ
მაგალითს შეადგენს, მაგრამ კაცი, სახამ ცოდვას, ცდ-ლობს
როგორც თავის ცოდვები დამალოს, ბურჯი მოახვიოს და კაც-
ბრიაობა აღაშარავოს მარტო მას კეთილ ნამოქმედარზე. როგორც
სხანს ასეთ მეტადინგობას ჩვენი საბჭოც არ არის მოკლებული. ეს
მითი ახსენება, რომ მომავალი კრების დაწინაურდა იშუამდგომლად,
